

FAR/20-26

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“

ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
31 დეკემბერი 2025

## სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნება	8-28

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“ დამფუძნებელსა და მენეჯმენტს:

**მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერის“ („კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების („ფინანსური ანგარიშგება“) აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

**მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

**ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

#### აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და

შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონიერულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 აპრილი, 2026

არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი : გიორგი კვინიკაძე (SARAS-A-129107)

*RSM Georgia*



შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 ქართულ ლარში

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
ძირითადი საშუალებები	2	2,111	2,914
ინვესტიციები	3	212,725	2,725
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>214,836</b>	<b>5,639</b>
<b>მიმდინარე აქტივები</b>			
წინასწარი გადახდები	4	10,277	10,451
სხვა მისაღები მოთხოვნები		3,754	-
ფული და ფულის ექვივალენტები	5	132,904	567,139
ვადიანი დეპოზიტები	6	410,156	6,135
<b>სულ მიმდინარე აქტივები</b>		<b>557,091</b>	<b>583,725</b>
<b>სულ აქტივები</b>		<b>771,927</b>	<b>589,364</b>
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>			
საწესდებო კაპიტალი	7	980,000	730,000
გაუნაწილებელი მოგება		(228,559)	(164,124)
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>751,441</b>	<b>565,876</b>
<b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>			
გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>-</b>	<b>-</b>
<b>მიმდინარე ვალდებულებები</b>			
ვალდებულებები კლიენტების მიმართ	8	20,157	20,157
სხვა ვალდებულებები		329	3,331
<b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>		<b>20,486</b>	<b>23,488</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>20,486</b>	<b>23,488</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>771,927</b>	<b>589,364</b>

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2026 წლის 28 აპრილს.

გენერალური დირექტორი

გიორგი ტრიპოლსკი

ბუღალტერი

ბაჩანა ძაგანია

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2025	2024
შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან	9	33,830	15,505
<b>სულ საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>33,830</b>	<b>15,505</b>
ხელფასის ხარჯი		(46,250)	(159,688)
იჯარის ხარჯი	12	(5,123)	(5,106)
ბირჟის მომსახურების ხარჯი		(2,825)	(2,825)
ცვეთა და ამორტიზაცია	2	(803)	(1,301)
საკონსულტაციო მომსახურება		(16,615)	(32,708)
დეპოზიტარის მომსახურება		(720)	(720)
სხვა ხარჯები		(9,749)	(5,442)
<b>საოპერაციო მოგება/(ზარალი)</b>		<b>(48,254)</b>	<b>(192,285)</b>
ფინანსური შემოსავალი	6	3,757	5
კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	10	(19,938)	21,262
<b>მოგება დაბეგვამდე</b>		<b>(64,435)</b>	<b>(171,018)</b>
მოგების გადასახადი	11	-	-
<b>წმინდა მოგება</b>		<b>(64,435)</b>	<b>(171,018)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>სულ სრული შემოსავალი</b>		<b>(64,435)</b>	<b>(171,018)</b>


ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2026 წლის 28 აპრილს.

გენერალური დირექტორი

გიორგი ტრიპოლსკი

ბუღალტერი

ბაჩანა ძაგანია



შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>7</b>	<b>580,000</b>	<b>6,894</b>	<b>586,894</b>
წლის მოგება/(ზარალი)		-	(171,018)	(171,018)
სააქციო კაპიტალის გაზრდა		150,000	-	150,000
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>150,000</b>	<b>(171,018)</b>	<b>(21,018)</b>
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>7</b>	<b>730,000</b>	<b>(164,124)</b>	<b>565,876</b>
წლის მოგება/(ზარალი)		-	(64,435)	(64,435)
სააქციო კაპიტალის გაზრდა		250,000	-	250,000
<b>სულ წლის სრული შემოსავალი</b>		<b>250,000</b>	<b>(64,435)</b>	<b>185,565</b>
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>7</b>	<b>980,000</b>	<b>(228,559)</b>	<b>751,441</b>

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2026 წლის 28 აპრილს.

გენერალური დირექტორი

გიორგი ტრიპოლსკი

ბუღალტერი

ბაჩანა ძაგანია

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

	შენიშვნა	2025	2024
წლის ზარალი		(64,436)	(171,018)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული/გაცემული ავანსები		174	(4,885)
ცვეთა და ამორტიზაცია		803	1,301
მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციებიდან		(19,938)	21,257
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (ზრდა)/კლება		(2,998)	2,862
<b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(86,395)</b>	<b>(150,483)</b>
მიღებული პროცენტი		3,757	5
<b>საოპერაციო საქმიანობით გენერირებული (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(82,638)</b>	<b>(150,478)</b>
ცვლილება ინვესტიციებში		(210,000)	-
ცვლილება ვადიან დეპოზიტებში	6	(404,021)	(6,135)
ცვლილება საწესდებო კაპიტალში	7	250,000	150,000
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(364,021)</b>	<b>143,865</b>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან მიღებული დივიდენდები		-	-
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
<b>ფული და ფულის ექვივალენტები</b>			
<b>1 იანვრის მდგომარეობით</b>	5	<b>567,139</b>	<b>595,014</b>
წმინდა ზრდა (შემცირება) წლის განმავლობაში		(446,659)	(6,613)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		12,424	(21,262)
<b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	5	<b>132,904</b>	<b>567,139</b>

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2026 წლის 28 აპრილს.

გენერალური დირექტორი გიორგი ტრიპოლსკი

ბუღალტერი ბაჩანა მაგანია

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

## 1. ანგარიშის წარმდგენი პირი

### (ა) კომპანია და საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“ ს/კ 204929970 (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 24 ივნისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5/4 - 2084.

საქმიანობის სფერო: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საბროკერო საქმიანობა ადგილობრივი და უცხოური ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე. საანგარიშგებო პერიოდში იგი თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სს „ბანკი ქართუ“, რომელსაც ფლობს ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, რომელსაც თავის მხრივ ფლობს სს „ქართუ ჯგუფი“. სს „ბანკი ქართუ“ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად აქვეყნებს ფასს-ის მიხედვით მომზადებულ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანიის მისამართი. კომპანია დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 39ა.

### (ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

## 2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“-ს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს სტანდარტები”) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე. შემოსავლები და ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია მათი ბუნების მიხედვით, ხოლო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია მიმდინარე და გრძელვადიანი პრინციპით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ქართულ ლარში**

ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკორექტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

**ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

**2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა**

**(ა) ძირითადი საშუალებები**

**i. აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა თვითღირებულებაზე დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვეითვით.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

**ii. შემდგომი ხარჯები**

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება.

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

**ქართულ ლარში**

ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწვევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

**iii. ცვეთა**

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი 5 წელი;

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

**(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები**

**თავდაპირველი აღიარება**

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. კომპანია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

### ფინანსური აქტივები

#### კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;

სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;

ამორტიზირებული ღირებულებით.

### სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) კომპანიის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- **ამორტიზირებული ღირებულება:** კომპანია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

• რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები ასახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: კომპანიის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ კომპანიის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

#### წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
**ქართულ ლარში**

**გაუფასურება**

კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

კომპანია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>181
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

**აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას, ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

**ფინანსური ვალდებულებები**

**კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

### **ალიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

**ურთიერთდაფარვა.** ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და წმინდა თანხა აღირიცხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიულად განხორციელებადი უფლება აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვაზე, და გამიზნულია დარეგულირდეს ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

### **(გ) ავანსები**

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი ალიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

### **(დ) ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **(ე) საიჯარო ვალდებულებები**

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

**(ვ) კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

**(ზ) დივიდენდის განაწილება**

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

**(თ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები**

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6951
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8068

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
**ქართულ ლარში**  
**(ი) მოგების გადასახდი**

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

**(კ) შემოსავლები**

**i. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

შემოსავალი აღიარებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, IFRS 15 „შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“, შესაბამისად იმ მომენტში, როდესაც დაპირებული მომსახურების კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რომელიც ასახავს კომპანიის მიერ მოსალოდნელ ანაზღაურებას.

საბროკერო საკომისიო შემოსავალი წარმოადგენს მომხმარებელთა სახელით ფასიანი ქაღალდების ოპერაციების შესრულებიდან მიღებულ საკომისიოებს და აღიარებულია ერთჯერადად, იმ მომენტში, როდესაც ტრანზაქცია ხორციელდება ბირჟაზე, რადგან სწორედ ამ დროს ასრულებს კომპანია თავის შესრულების ვალდებულებას. სავაჭრო და საანგარიშსწორებო მომსახურებებთან დაკავშირებული საკომისიოებიც აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც შესაბამისი ტრანზაქცია დასრულებულია.

პორტფელის მართვისა და საკონსულტაციო მომსახურების საფასური აღიარებულია დროის განმავლობაში, მომსახურების გაწევის პარალელურად, რადგან მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს ამ მომსახურებებით მიღებულ სარგებელს. აღნიშნული საფასური, როგორც წესი, განისაზღვრება ფიქსირებული ოდენობით ან მართვის ქვეშ არსებული აქტივების პროცენტული წილით. კასტოდიური და ანგარიშის მომსახურების საკომისიოები აღიარებულია დროის განმავლობაში, თანაბარი მეთოდით იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის განმავლობაშიც მომსახურება ხორციელდება.

მომგებიანი ვაჭრობიდან, მომხმარებელთა ნაშთებიდან ან დეპოზიტებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, IFRS 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“-ის შესაბამისად. დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც კომპანია მიიღებს დივიდენდის გატანის უფლებას.

კომპანია მოქმედებს აგენტის როლში მომხმარებელთა სახელით სავაჭრო ოპერაციების შესრულებისას და შესაბამისად, შემოსავალს აღიარებს მხოლოდ მიღებული საკომისიოების ოდენობით და არა ტრანზაქციების მთლიანი მოცულობით. ცვლადი ანაზღაურება, მათ შორის შესრულებაზე დაფუძნებული საკომისიოები, აღიარებულია მხოლოდ იმ მოცულობით, რომლის მიმართაც მაღალი ალბათობა არსებობს, რომ მომავალში არსებითი უკუქცევა არ მოხდება.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში

**ii. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას, აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის მომენტში ფიქსირებული ფასით, ან საათობრივი განაკვეთის შესაბამისად.

**iii. საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო შემოსავალი დაითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით - აღნიშნული მეთოდი გულისხმობს ფინანსური აქტივის ამორტიზებადი ღირებულების დათვლას და ანაწილებს საპროცენტო შემოსავალს რელევანტურ პერიოდზე - ხდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირება აქტივის სასიცოცხლო ციკლის პერიოდზე.

**iv. სხვა შემოსავალი**

სხვა შემოსავალი აღიარდება, მაშინ როდესაც ის გამოჩეუწავდება, ან კომპანია მიიღებს ფულადი ნაკადების მოთხოვნის უფლებას.

**(ლ) ხარჯები**

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

**მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მიერ შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებზე. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებულ მოლოდინებს, რომლებიც მოცემულ გარემოებებში მიაჩნია გონივრულად. შედეგად მიღებული საბუღალტრო შეფასებები და დაშვებები იშვიათად ემთხვევა შესაბამის რეალურ შედეგებს.

**ფინანსური აქტივების გაუფასურება**

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების შეფასება მოითხოვს გარკვეული ხარისხის შეფასებებსა და განსჯას. იგი ეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგს, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით და იყენებს დაშვებებს თითოეული ჯგუფისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის საერთო განაკვეთის მისანიჭებლად. აღნიშნული დაშვებები მოიცავს გაყიდვების ბოლოდროინდელ გამოცდილებას და ამოღების ისტორიულ მაჩვენებლებს.

**აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება**

კომპანია განსაზღვრავს ძირითადი საშუალებებისა და განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებს და მათთან დაკავშირებულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებს. სასარგებლო მომსახურების ვადები შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნოლოგიური ინოვაციების ან სხვა მოვლენების შედეგად. ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი გაიზრდება იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები იმაზე ნაკლები აღმოჩნდება, ვიდრე ეს ადრე იყო შეფასებული. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებების აღიარება ხდება პერსპექტიულად.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
ქართულ ლარში  
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, კომპანია ახორციელებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი, გამოიყენება პროფესიული განსჯა იმის დასადგენად, ხორციელდება თუ არა ოპერაცია საბაზრო ღირებულებით.

## 2.1 ახალი და შესწორებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ამოქმედება და გამოყენება

კომპანიამ მიიღო ყველა ახალი ან შესწორებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოს („IASB“) მიერ და სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშო პერიოდისთვის. ამ სტანდარტების მიღებას არ მოუხდენია რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში შედის ერთი ძირითადი ცვლილება და ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მდგრადობის სტანდარტებში, რომლებიც სავალდებულო გახდა 2025 წლის 1 იანვრიდან:

- IAS 21-ის ცვლილებები - გაცვლითი კურსის არარსებობა: ეს ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა ერთი ვალუტის გაცვლა მეორეში და როგორ უნდა შეფასდეს სპოტ გაცვლითი კურსი, როდესაც ის არ არის. სუბიექტებმა ახლა უნდა წარმოადგინონ გამყდავანებები, რათა დაეხმარონ მომხმარებლებს იმის გაგებაში, თუ როგორ მოქმედებს გაცვლითი კურსის არარსებობა ფინანსურ მაჩვენებლებსა და ფულად ნაკადებზე.

### ცვლილებები რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ შესულა ძალაში

ახალი ან შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოქვეყნებულია, თუმცა სავალდებულო არ არის 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის და რომელთა ვადაზე ადრე მიღება კომპანიის მიერ არ მომხდარა. საანგარიშგებო სუბიექტის საქმიანობაზე ამ ცვლილებების სავარაუდო გავლენის შეფასება მოცემულია ქვემოთ

- IFRS 18 „წარმოდგენა და გამყდავანება ფინანსურ ანგარიშგებაში“: ცვლის IAS 1-ს; ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან.
- IFRS 19 „შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშგებულების გარეშე“: გამყდავანება: ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან.
- IFRS 9-ისა და IFRS 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება“ ცვლილებები: ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

2. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერი, ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი	სულ
<b>ისტორიული ღირებულება</b>		
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>12,278</b>	<b>12,278</b>
შემენა	-	-
გასვლა	-	-
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>12,278</b>	<b>12,278</b>
შემენა	-	-
გასვლა	-	-
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>12,278</b>	<b>12,278</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>		
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>8,063</b>	<b>8,063</b>
წლის ცვეთა	1,301	1,301
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>9,364</b>	<b>9,364</b>
წლის ცვეთა	803	803
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>10,167</b>	<b>10,167</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>		
<b>1 იანვარი 2024</b>	<b>4,215</b>	<b>4,215</b>
<b>31 დეკემბერი 2024</b>	<b>2,914</b>	<b>2,914</b>
<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>2,111</b>	<b>2,111</b>

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება შეადგენს 8,262 ლარს (2024: 2,334 ლარს)

3. ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
	წილი	ლარი	წილი	ლარი
<b>ინვესტიცია</b>				
სს „თბილისის საფონდო ბირჟა“	23.66%	100,000	-	-
სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“	17.33%	112,700	2%	2,700
<b>სულ ინვესტიცია</b>		<b>212,700</b>		<b>2,700</b>
<b>სხვა ინვესტიციები</b>				
სს „კავკასიურესტრი“	0.166%	25	0.166%	25
<b>სულ სხვა ინვესტიციები</b>		<b>25</b>		<b>25</b>
<b>სულ ინვესტიციები</b>		<b>212,725</b>		<b>2,725</b>

2025 წლის განმავლობაში მიღებული დივიდენდები ფასიანი ქაღალდებიდან შეადგენს 0 ლარს (2024: 0 ლარს).

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
**ქართულ ლარში**

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ფლობს 23.66%-იან წილს სს „თბილისის საფონდო ბირჟაში“ და 17.33%-ს (2024 წ.: 2%) სს „საქართველოს საფონდო ბირჟაში“, და ასევე წარმოდგენილია მათ დირექტორთა საბჭოში, ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანია აღნიშნულ სუბიექტებზე არ ახორციელებს მნიშვნელოვან გავლენას ბასს (IAS) 28-ის („ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“) შესაბამისად.

ხელმძღვანელობის შეფასება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საბჭოში წარმომადგენლობა არ არის არსებითი ხასიათის და არ აძლევს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებებში მონაწილეობის შესაძლებლობას. კერძოდ, კომპანიას არ გააჩნია საკმარისი ხმის უფლება საკვანძო გადაწყვეტილებებზე ზემოქმედებისთვის, არ მონაწილეობს პოლიტიკის შემუშავების პროცესში და არ არის ჩართული სტრატეგიულ თუ ოპერაციულ გადაწყვეტილებებში. ასევე, არ ფიქსირდება ისეთი მატერიალური ტრანზაქციები, მენეჯერული პერსონალის ურთიერთგვლა ან არსებითი ტექნიკური ინფორმაციის მიწოდება, რაც მიუთითებდა მნიშვნელოვანი გავლენის არსებობაზე.

შესაბამისად, აღნიშნული ინვესტიციები არ არის კლასიფიცირებული, როგორც ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და მათ მიმართ არ გამოყენებულა კაპიტალ-მეთოდი. აღნიშნული ინვესტიციები აღირიცხება, როგორც ფინანსური აქტივები ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) შესაბამისად და შეფასებულია თვითღირებულებით.

**4. წინასწარი გადახდები**

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფასიანი ქაღალდების შესაძენად გადახდილი ავანსი	5,275	5,485
აუდიტორულ მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	4,900	4,900
სხვა წინასწარი გადახდები	102	66
<b>სულ წინასწარ გადახდები</b>	<b>10,277</b>	<b>10,451</b>

**5. ფული და ფულის ექვივალენტები**

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ნაღდი ფული სალაროში	3	3
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	48,605	59,103
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	84,296	508,033
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>132,904</b>	<b>567,139</b>

ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე მოიცავს 20,157 ლარს რომელიც არის ორი კლიენტის ფულადი სახსრები რომელიც კომპანიას აქვს ნომინალურ მფლობელობაში და აღირიცხავს განცალკევებულ საბანკო ანგარიშზე საქართველოში მოქმედ ფინანსურ ინსტიტუტში. კლიენტის მიმართ ვალდებულების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-8 განმარტებით შენიშვნაში.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**6. ვადიანი დეპოზიტები**

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ვადიანი დეპოზიტები	410,156	6,135
<b>სულ ვადიანი დეპოზიტები</b>	<b>410,156</b>	<b>6,135</b>

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანია ფლობდა ვადიან დეპოზიტს 150,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომლის სახელშეკრულებო დაფარვის ვადაა 2026 წლის 12 აგვისტო, ასევე მოთხოვნამდე დეპოზიტის ნაშთს 2,186 აშშ დოლარის ოდენობით. ორივე დეპოზიტს ერიცხება წლიური სარგებელი 2.50%-იანი განაკვეთით. 2025 და 2024 წლების განმავლობაში, დეპოზიტებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა შესაბამისად 3,757 ლარი და 5 ლარი.

**7. საწესდებო კაპიტალი**

2025 წლის განმავლობაში მფლობელის მიერ საწესდებო კაპიტალში მოხდა ფულადი შენატანი 250,000 ლარის ოდენობით და 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სადამფუძნებლო კაპიტალი შეადგენს 980,000 ლარს.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა მფლობელზე დივიდენდის გაცემა.

**კაპიტალის რისკის მართვა**

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს მფლობელის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის მოზიდვის ღირებულებას (Cost of capital).

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ექვივალენტებს შორის.

2018 წლის 5 ივლისს ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #145-04 საბროკერო კომპანიების შესახებ, რის მიხედვითაც საბროკერო კომპანია ვალდებულია საქმიანობის ყოველ ეტაპზე გააჩნდეს კლიენტების მიმართ არსებული ვალდებულებების დასაფარად საკმარისი ფულადი სახსრები და საბროკერო კომპანიის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 500,000 (ხუთასი ათასი) ლარს, რომელიც გაანგარიშებული იქნება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აკმაყოფილებდა ზემოთმოცემულ მოთხოვნას კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზე.

**8. ვალდებულებები კლიენტების მიმართ**

ვალდებულებები ღირებულებით 20,157 ლარი (2024: 20,157 ლარი) შეადგენს ვალდებულებას კლიენტების მიმართ, რომელთაც აღნიშნული თანხები სამართავად განათავსეს კომპანიაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ იყო არსებითი სხვაობა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

9. შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან

	2025	2024
შემოსავალი საკომისიოდან	33,830	15,505
<b>სულ შემოსავალი საბროკერო მომსახურებიდან</b>	<b>33,830</b>	<b>15,505</b>

10. კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	2025	2024
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	178,839	67,369
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(198,777)	(46,107)
<b>კურსთაშორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)</b>	<b>(19,938)</b>	<b>21,262</b>

კურსთაშორის სხვაობის ეფექტი სრულად გამოწვეულია ფულადი სახსრების გადაფასებიდან.

11. მოგების გადასახადი

2016 წლის მასში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგრას. სხვა დაბეგრის რეჟიმებთან ერთად ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელ ფიზიკურ პირებზე განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით, ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სისტემის ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

12. იჯარის ხარჯი

საოპერაციო და საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება, რომელიც განახლებადია ყოველწლიურად.

კომპანია მომავალში გადაიხდის საიჯარო გადასახადს შეუქცევად საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებით, შემდეგი მინიმალური ოდენობით 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ერთი წლის ვადაში	5,123	5,106
ერთ წელზე მეტი, მაგრამ ხუთ წელზე ნაკლებ ვადაში	-	-
<b>სულ იჯარის სამომავლო მინიმალური გადახდები</b>	<b>5,123</b>	<b>5,106</b>

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

**13. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ და მათი სამართლიანი ღირებულება**

**(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას, თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას, კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით, შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით, შეფასების გამოყენებული მეთოდი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი, ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან. ქვემოთ მოცემული ყველა ფინანსური აქტივი დავალდებულება მიეკუთვნება I კატეგორიას გარდა ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში რომელიც მიეკუთვნება III კატეგორიას.

<b>სამართლიანი ღირებულების შეფასება 2025 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს</b>				
	<b>I კატეგორია</b>	<b>II კატეგორია</b>	<b>III კატეგორია</b>	<b>Total</b>
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტი	132,904	-	-	132,904
სხვა მისაღები მოთხოვნები	3,754	-	-	3,754
ვადიანი დეპოზიტები	410,156	-	-	410,156
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>546,814</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>546,814</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
კრედიტორული დავალიანება	20,157	-	-	20,157
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>20,157</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>20,157</b>

**(ბ) ფინანსური რისკები**

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი/დებიტორი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი/დავალიანება ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
  - საპროცენტო რისკი

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

- სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანია რისკების საერთო მართვის თაობაზე იყენებს წინასწარ დადგენილ პოლიტიკას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
<b>ფინანსური აქტივები</b>		
ფული და ფულის ექვივალენტები	132,904	567,139
ვადიანი დეპოზიტები	410,156	6,135
სხვა მისაღები მოთხოვნები	3,754	-
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>546,814</b>	<b>573,274</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>		
კრედიტორული დავალიანება	20,157	20,157
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>20,157</b>	<b>20,157</b>

საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული და ფულის ექვივალენტები	132,904	567,139
ვადიანი დეპოზიტები	410,156	6,135
სხვა მისაღები მოთხოვნები	3,754	-

როგორც შენიშვნა მე-5 განმარტავს, ფული და ფულის ექვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისა და ინვესტიციებზე ფასიან ქაღალდებში.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვი

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვს იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. რეზერვის შეფასება დამოკიდებულია კომპანიის მიერ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაკეთებულ შეფასებაზე იმის შესახებ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი

**შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“**  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
**ქართულ ლარში**

თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აღნიშნული ეყრდნობა გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე.

იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზარდილა, ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის რეზერვი. ეს წარმოადგენს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების იმ ნაწილს, რომელიც გამოწვეულია მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის მოვლენებით. იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი გაუფასურდა ან დადგინდა, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რეზერვი ეფუძნება აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ოდენობა იზომება მოსალოდნელი ფულადი დეფიციტის ალბათობით შეწონილი დღევანდელი ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც სავალდებულო წესით ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, საკრედიტო დანაკარგის რეზერვი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო შესაბამისი ხარჯი აისახება მოგება-ზარალის უწყისში. ყველა სხვა შემთხვევაში, რეზერვი ამცირებს აქტივის საბალანსო ღირებულებას, ხოლო შესაბამისი ხარჯი აისახება მოგება-ზარალში.

**სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვისას კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და დანაკარგის რეზერვს აღიარებს აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების სახით. ეს არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დეფიციტი, ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის ნებისმიერ ეტაპზე დეფოლტის პოტენციალის გათვალისწინებით. გამოთვლებისას კომპანია იყენებს ისტორიულ გამოცდილებას, გარე ინდიკატორებსა და სამომავლო პერსპექტივაზე დაფუძნებულ ინფორმაციას, რათა გამოითვალოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას აფასებს კოლექტიურ საფუძველზე, რადგან მათ გააჩნიათ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

**ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც: (ა) ხდება აქტივების დაფარვა ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებას სხვაგვარად გასდის ვადა; ან (ბ) სუბიექტმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო შესაბამისი გადაცემის ხელშეკრულება, ამასთან: (i) გადასცა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, ან (ii) არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია ფლობასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ არ შეინარჩუნა კონტროლი აქტივზე.

**ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი (სახელშეკრულებო ვალდებულებების სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები) შესრულების ვადა იყო ერთი წელი.

ლიკვიდურობის რისკი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფული და ფულის ექვივალენტები	132,904	-	-	-	132,904
ვადიანი დეპოზიტები 2.5%-5%	410,156	-	-	-	410,156
სხვა მისაღები მოთხოვნები	3,754	-	-	-	3,754
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>546,814</b>	-	-	-	<b>546,814</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სავაჭრო ვალდებულებები	20,157	-	-	-	20,157
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>20,157</b>	-	-	-	<b>20,157</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>526,657</b>	-	-	-	<b>526,657</b>

ლიკვიდურობის რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>					
ფული და ფულის ექვივალენტები 1,65%-8,75%	567,139	-	-	-	567,139
ვადიანი დეპოზიტები	6,135	-	-	-	6,135
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>573,274</b>	-	-	-	<b>573,274</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სავაჭრო ვალდებულებები	20,157	-	-	-	20,157
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>20,157</b>	-	-	-	<b>20,157</b>
<b>ლიკვიდურობის პოზიცია</b>	<b>553,117</b>	-	-	-	<b>553,117</b>

კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი ლიკვიდურობის რისკის წინაშე, მისი ფინანსური აქტივები მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში სრულად ფარავს კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებს.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის დამოკიდებულება საპროცენტო განაკვეთის რისკზე ძირითადად განპირობებულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებით. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივები და ვალდებულებები წარმოშობს რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკს, ხოლო ცვლადი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები კომპანიას აყენებს ფულადი ნაკადების საპროცენტო განაკვეთის რისკის წინაშე.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ატარებს მოკლევადიან ხასიათს და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან საპროცენტო განაკვეთის რისკს.

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი დამოკიდებულება ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტებზე. შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების გავლენა მოგება-ზარალზე არ არის არსებითი.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიურ %-ში	31 დეკემბერი 2025		31 დეკემბერი 2024	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ვადიანი დეპოზიტები	5%	2%	8,75%	1,65%

#### სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდებლები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

#### ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული უცხოური ვალუტების მიხედვით:

აშშ დოლარი	ფული და ფულის ეკვივალენტები	ვადიანი დეპოზიტები	სულ
	84,002	410,156	494,158
<b>2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>84,002</b>	<b>410,156</b>	<b>494,158</b>

ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული უცხოური ვალუტების მიხედვით:

აშშ დოლარი	ფული და ფულის ეკვივალენტები	ვადიანი დეპოზიტები	სულ
	508,032	6,135	514,167
<b>2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>508,032</b>	<b>6,135</b>	<b>514,167</b>

#### 14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელს წარმოადგენს სს „ბანკი ქართუ“, რომელსაც ფლობს ა(ა)იპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“, რომელსაც თავის მხრივ ფლობს სს „ქართუ ჯგუფი“. სს „ბანკი ქართუ“ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად აქვეყნებს ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს.

შპს საბროკერო კომპანია „ქართუ ბროკერი“  
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 ქართულ ლარში

	2025	2024
<b>ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:</b>		
საპროცენტო შემოსავალი დაკავშირებული კომპანიისგან	3,757	5
იჯარის ხარჯი დაკავშირებული კომპანიასთან	5,123	5,106
	<b>31 დეკემბერი 2025</b>	<b>31 დეკემბერი 2024</b>
<b>ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან:</b>		
ფული და ფულის ექვივალენტები	132,904	567,139
ვადიანი დეპოზიტები	410,156	6,135
კრედიტორული დავალიანება და სხვა ვალდებულებები	20,157	20,157
	<b>2025</b>	<b>2024</b>
<b>ხელმძღვანელობის ანაზღაურება:</b>		
შრომის ანაზღაურება	27,552	84,184

**15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.